დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი
წევრები:
დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406290954

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 მაისის MES 1 25 0000595019 ბრძანების (ცვლილება ბრძანება N MES 2 25 0000854292 10/07/2025) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში ვიზიტის შესახებ საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025 წლის 30 ივნისს დაწესებულებაში (მის. ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ.N 14 ა) განხორციელდა ვიზიტი "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით შესაბამისობის დასადგენად. ზემოაღნიშნული საქმისწარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად. დაწესებულებაში შესწავლილი იქნა დამატებით მასალები, შეფასდა ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე, შეფასდა მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსები. ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ფუნქციონირება ავტორიზებულ რეჟიმში აქვს ახალდაწყებული, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ხარისხიანად, **დაწესებულების ადმინისტრაცია და პროგრამის განმახორციელებლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან სასწავლო პროცესების განხორციელებას, პროფესიული სტუდენტები გამოთქვამენ კმაყოფილებას პროგრამის განხორციელების მიდგომების მიმართ, თუმცა განვითარების მიზნით დაწესებულებას ექსპერტთა მიერ მიეცა რჩევა დახვეწონ და განავითარონ მარეგულირებელი აქტები, რაც ასახულია ქვემოთ განმავითარებელ რეკომენდაციებში.**

ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	144	120	0	14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაციები

- დაწესებულებამ სასურველია ყურადღება მიაქციოს ოფიციალური დოკუმენტების შემუშავებისას ტერმინოლოგიურ სიზუსტეს.
- დაწესებულებამ სასურველია გადაამუშავოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, განავრცოს დასარეგულირებელი საკითხები, გაწეროს პროცედურულად, პასუხისმგებლობებისა და პროცესისთვის საჭირო ვადების მითითებით. ასევე, რიგ შემთხვევებში, (მაგ. საქმისწარმოების წესი) დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა და წესი მოიყვანოს შესაბამისობაში.

სტანდარტთან მიმართებაში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია

2.2.1.5. ვინაიდან დაწესებულებაში ფიქსირედება ბიბლიოთეკაში პროფესიული სტუდენტების მნიშვნელოვნად დაბალი აქტივობა, დაწესებულებამ სასურველია მათთვის განახორციელოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წამახალისებელი აქტივობები, დაგეგმოს და ჩაატაროს საინტერესო სემინარები და ღონისძიებები, შეუქმნან პროფესიულ სტუდენტებს მუშაობისა და დასვენებისთვის სამკითხველო სივრცეში მიმზიდველი გარემო, რათა მათ გამოუმუშავდეთ ბიბლიოთეკით სარგებლობისა და წიგნთან მუშაობის ჩვევები.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი დასკვნის შინაარსსა და მასში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 14ა, საქართველო, 0186
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	312
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	120 - კოოპერაციული სწავლების ფორმით
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	312

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი.

   ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფისთვის პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი გაზრდილი რაოდენობის (312 პროფესიული სტუდენტის) შესაბამისად, დაწესებულების მიერ დამატებული და გაძლიერებულია სააუდიტორიო რესურსი, კერძოდ ამ ეტაპისთვის დაწესებულების მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 4 A C და 1 B აუდიტორია, რომლებშიც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების ინფორმაციით განხორციელდება მხოლოდ საკვალიფიკაციო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს მოკლევადიან პროფესიულ პროგრამებს, რომლისთვისაც გამიჯნული აქვთ ინფრასტრუქტურა. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა სააუდიტორიო დატვირთვების ცხრილი გაზრდილი ჯგუფების საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით 12-12 ჯგუფზე თითოეულ ჯგუფში 26-26 პროფესიული სტუდენტისთვის, რაც განხილული იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ და დასტურდება, რომ მათ მიერ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სააუდიტორიო რესურსი მოთხოვნილი კვოტის (312 პროფესიული სტუდენტი) გამტარუნარიანია. თითოეული აუდიტორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალური რესურსებით, ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებითა და კომპიუტერული ტექნიკით.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსით შესაძლებელია მაქსიმუმ 312 პროფესიული სტუდენტის სწავლება 2 მიღებაზე, თითო მიღებაზე 6-6 ჯგუფი, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობით 26-26.

დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტებზე. დაწესებულების მიერ ასევე დამატებულია გაზრდილი კვოტის შესაბამისად ადგილები პრაქტიკის ობიექტთან ხელშეკრულებებში.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ 4 საწარმოსთან ავტორიზაციის ვადით:

- შპს დომუს კონსტრაქშენი (საიდენტიფიკაციო კოდი: 404908864) ობიექტების (მის:პოლიტკოვსკაიას #12; გაზაფხულის ქ. #8 და მისამართი: ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩაNo 96), თითო ობიექტზე 26-26 პროფესიული სტუდენტი;
- შპს ა-ლ.ფ.ა ჯგუფი (მისამართი: რუსთავი გაჩიანის გზა) საიდენტიფიკაციო კოდი: 404634909, 2 ობიექტი, 26-26 პროფესიული სტუდენტი;
- შ.პ.ს. ,,დევარტ ჯგუფი'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 405368917) ობიექტების (მის:ქ.თბილისი, სამურზაყანოს 39), 26 პროფესიული სტუდენტი;
- შპს ს. ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა (ს/კ 404866123) ობიექტის (მის. ი.ჭავჭავაძის 33), 26 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 312 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით ორ მიღებაზე განაწილებით, შესაბამისად ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნა შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროგრამის დამატების დროს ახორციელებდა 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს 8 პროფესიული მასწავლებელი, 2 მხოლოდ ზოგად მოდულებს და 1 მასწავლებელი ზოგადსაც და დარგობრივ მოდულებსაც. ამჯერად დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული ჰყავს 21 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 5 ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 16 დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად. ნაწილ მასწავლებლებს დარგობრივი მოდულების განხორციელების გარდა უდასტურდებათ ზოგადი მოდულების წაძღოლის კომპეტენციაც. მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიული სტუდენტების ოდენობასთან მიმართებაში. ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა გაზრდილი ჯგუფებისთვის მოდულების ჯამური საათების არსებობის ჭრილში პროგრამის სასწავლო გეგმის კვირეული დატვირთვების შესაბამისად და დასტურდება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

   აღსანიშნავია, რომ მოდულების განხორციელების შეუფერხებლობისა და პროგრამის მდგრადობის მიზნით აკადემიას ჰყავს ორ-ორი განმახორციელებელი პირი თითოეულ მოდულზე, რაც სრულად უზრუნველყოფს შეუფერხებლად და მდგრადად პროგრამის განხორციელებას,

   გამომადინარე აღნიშნულიდან ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით შესაბამისობაშია და პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს როგორც მოკლევადიან კურსებში ტრენერად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე პრაქტიკული გამოცდილებაც. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მათში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებენ ისინი. დაწესებულების მიერ ჩატარებული იქნა პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროფესიულ პროგრამებზე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დოკუმენტურად იქნა წარმოდგენილი (შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი"-ის კოლეჯის დირექტორის N 121 ბრძანება 19.06.2024 შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი"-ის კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო კურსის დამტკიცების თაობაზე" და პროგრამის განმახორციელებელ პირთა შესაბამისი სერტიფიკატები.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.3. მოთხოვნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია" სრულადაა დაკმაყოფილებული.

4. დაწესებულებაში პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით და მას ნიშნავს კოლეჯის დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პროგრამის სამუშაო ჯგუფს და აქვს პროგრამის დარგობრივი ხედვა, დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავებას, განხორციელებას და განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პასუხისმგებელია პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. იგი პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და როგორც მისი პირადი საქმე ადასტურებს, აქვს დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და კვალიფიკაცია, მისი კომპეტენცია და შესაბამისობა დადასტურდა აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით. **ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.2.1.4. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საგანმანათლებლო პროგრამებში საკანონმდებლო-ნორმატიული კომპონენტების სწავლების მიზნით კოლეჯს აქვს ავტორიზებული წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს matsne.gove.ge-ის პლატფორმაზე. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან ლეპტოპებით. პროფესიულ სტუდენტებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველოდ გამოყოფილი ადგილებით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. აღნიშნულის პრაქტიკაში გამოყენების დადასტურების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარებული იქნა პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პროფესიულ სტუდენტთა მიერ ბიბლიოთეკის გამოყენების ძალზე დაბალი აქტივობა ფიქსირდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცეს განმავითარებელი რეკომენდაციის სახით რჩევა, რომ პროფესიულ სტუდენტებისთვის განახორციელონ ბიბლიოთეკით სარგებლობის წამახალისებელი აქტივობები, დაგეგმონ და ჩაატარონ საინტერესო სემინარები და ღონისძიებები, შეუქმნან მუშაობისა და დასვენებისთვის სამკითხველო სივრცეში მიმზიდველი გარემო, რათა პროფესიულ სტუდენტებს გამოუმუშავდეთ ბიბლიოთაკით სარგებლობისა და წიგნთან მუშაობის ჩვევები.

საერთო ჯამში, კი ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიის ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში, რითიც ინდიკატორის 2.2.1.5. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. აკადემიას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მე-18 მუხლი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს მათი საჭიროებების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამჟამად ჰყავთ ერთი პირი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, რომლისთვისაც შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მისი ჩართულობით, ხოლო შშმ პირი ამჯერად დაწესებულებაში არ ირიცხება, თუმცა აქვთ მზაობა მიიღონ მსგავსი საჭიროების სტუდენტები, გააჩნიათ ადაპტირებული გარემო და წესები, რომლის დაცვითაც შეუძლიათ განახორციელონ მათთან სასწავლო პროცესი.

აკადემიას რეგულაციით გაწერილი აქვს „საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მდგომარეობის გათვალისწინებით და მისივე ჩართულობით შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროგრამას/მოდულს და იქნება მისი მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. გამომდინარე აღნიშნულიდან, ინდიკატორის 2.2.1.6. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. აკადემიას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული აქვს მიმდინარე სწავლების ფარგლებში მოქმედი ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 24 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე და გადაანგარიშებით შეადგენს 156 000 ლარს. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია შენობის იჯარის, კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და მისი განვითარების ხარჯები.

   ასევე, მათ მიერ წარმოდგენილი იქნა საპროგნოზო ბიუჯეტი რომელიც ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს, რომელიც ისევ 10 პროფესიული სტუდენტია. ამჯერად შემოსავლები დათვლილია 26 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე და შეადგენს 185 640 ლარს. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია შენობის იჯარის, კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და მისი განვითარების ხარჯები.

   ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელება ფინანსურად მდგრადია და მუდმივად განხორციელდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზი, რის საფუძველზეც დასაშვებია ბიუჯეტის კორექტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებუ;ია და აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2402/101-29.02.2024 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის N#2406/111 (19.06.2024) ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვის სქემა;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის N2406/123 (19.06.2024) ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- აკადემიის პერსონალის, მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის არსებული და საპროგნოზო ბიუჯეტები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17/07/2025 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: